აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - მიმდინარე პეტიცია

ავტორის სახელი: იზა

ავტორის გვარი: ფუტკარაძე

ავტორის სახელი ბარათიდან: Iza

ავტორის გვარი ბარათიდან: Putkaradze

ავტორის პირადი ნომერი ბარათიდან: [redacted]

ავტორის მობილური: [redacted]

ავტორის ელფოსტა: [redacted]

პეტიციის სათაური: აჭარის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი დასახლებების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფა

პეტიციის შინაარსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ დავით გაბაიძეს
შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქის
იზა ფუტკარაძის [redacted]

პეტიციის განაცხადი

შუახევის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქე იზა ფუტკარაძის (შუახევი ს. დღვანი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140-ე პირველი პრიმა მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ პეტიციას აჭარის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი დასახლებების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის მოთხოვნის შესახებ.

შუახევის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის" პროექტის „ქალთა და ახალგაზრდების გაძლიერება შუახევის მუნიციპალიტეტში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, ჩატარებული ქალთა საჭიროებების კვლევის მიხედვით, დიდ პრობლემას წარმოადგენს უწყვეტ მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის შესაძლებლობა.
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ზოგიერთ დასახლებებში ინტერენტზე წვდომა ფაქტიურად არ არსებობს (სოფელი ინწკირვეთი, ნაღვარევი და სხვა) ან ხელმისაწვდომია მხოლოდ სატელეფონო მობილური პროვაიდერების (მაგთი, სილქნეტი, ბილაინი) დაბალსიჩქარიანი ინტერნეტი, რომელიც არაპრაქტიკულია გამოსაყენებლად.

თანამედროვე ცხოვრების პირობებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი სერვისია, მის გარეშე სოფლად მცხოვრები მოსახლეობა რჩება ინფორმაციაზე ხელმიუწვდომელი. ეს უკანასკნელი კი ხელშემშლელი ფაქტორია მუნიციპალიური და სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები თანამედროვე ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს, ხოლო პანდემიის ფონზე აღნიშნულმა უფრო პირდაპირი დატვირთვა შეიძინა. მაღალმთიან დასახლებებში შეზღუდული გადაადგილების პირობებში (უწყვეტი საზოგადოებრივი ტრანსპორტის არ არსებობა), სასწავლო და სამუშაო პროცესი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიმდინარეობს დისტანციურ რეჟიმში ინტერნეტის მეშვეობით. გაზრდილია კერძო და საჯარო სერვისებზე ონლაინ წვდომის მოთხოვნაც. ასევე, აღსანიშნავია, ინტერნეტის მნიშვნელობა საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით.

პანდემიის პირობებში მოსახლეობას ყოველდღიურად მიეწოდებოდა სასიცოცხლო მნიშვნელობის და სწრაფად განახლებადი ინფორმაცია საჯარო განცხადებების, მონაცემების თუ რეკომენდაციების სახით. შესაბამისად, ინტერნეტზე წვდომის არარსებობამ სერიოზული დისკომფორტი შეუქმნა მაღალამთიან დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობას.
ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით აღნიშნული პრობლემის მოგვარება ფაქტიურად შეუძლებელია, ასევე საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აჭარის მაღალმთიანი დასახლებებში ინტერნეტიზაციის განხორციელება არ არის დაგეგმილი.

შემოსული № 09-02-13-მ/185
გვ 2 დანართი
23 მარტი 2022 წ

არსებული პრობლემა შესაძლებელია მობილური ოპერატორების (მაგთი, სილქნეტი, ბილაინი) მიერ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებითაც გადაიჭრას, კერძოდ სრულყოფილად დაიფაროს ყველა დასახლებული პუნქტი ფიჭური კავშირგაბმულობით და შესაბამისი მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მომსახურებით (მაგალითად ე.წ. 4G).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი დასახლებების ტერიტორიაზე მცხოვრები მოქლაქეები მოგმართავთ პეტიციით - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი დასახლებების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის მოთხოვნა“ რათა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ შეისწავლოს აჭარის ა.რ. მაღალმთიან დასახლებებში არსებული მდგომარეობა და განახორციელოს ქმედებები მისი კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც ხელს შეუწყობს ზემოთ ხსნებული პრობლემების მოგვარებას.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

28/03/2022
N 420

420-09-02-11-3-202203281103

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მაღალმთიანი დასახლებების, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის თაობაზე პეტიციის შესახებ (N09-02-13-ფ/185, 23.03.2022 წ. პეტიციის ავტორი: იზა ფუტკარაძე)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მაღალმთიანი დასახლებების, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის თაობაზე მოქალაქე იზა ფუტკარაძის (2022 წლის 23 მარტის N09-02-13-ფ/185) პეტიცია.

წარმოდგენილი პეტიციის შინაარსი შეესაბამება პეტიციის წარდგენის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებულ „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხარდამჭერთა შეგროვების მიზნით მისი გამოქვეყნება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

გადაწყვეტილება №29

პეტიციის შესახებ - „აჭარის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი დასახლებების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის თაობაზე“ (N09-02-13-ფ/185, 23.03.2022 წ. პეტიციის ავტორი: იზა ფუტკარაძე, მისამართი [redacted] 09-01-08/28, 18.05.2022)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ **გადაწყვიტა:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1]-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს 227 მოქალაქის მიერ მხარდაჭერილი პეტიცია - „აჭარის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი დასახლებების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის თაობაზე“ (N09-02-13-ფ/185, 23.03.2022 წ. პეტიციის ავტორი: იზა ფუტკარაძე, მისამართი: [redacted], 09-01-08/28, 18.05.2022), შესწავლისა და განხილვის მიზნით, გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტს, ხოლო სავალდებულო კომიტეტად განისაზღვროს - საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ბათუმი,
24 მაისი, 2022 წელი
№8

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

06/05/2022
N 732

732-09-02-11-3-202205061808

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს წევრებს

ბატონო/ქალბატონო,

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, გეგზავნებათ პეტიცია -„აჭარის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი დასახლებების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის“ თაობაზე (N09-02-13-ფ/185, 23.03.2022 წ. პეტიციის ავტორი: იზა ფუტკარაძე) თანდართულ მასალებთან ერთად.

დანართი: 4 (ოთხი) PDF ფაილი.

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

№ 09-01-02/28
13 12 05 2022

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

02/05/2022
N 663

663-09-02-11-3-202205021646

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, 2022 წლის 23 მარტს, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის შესაბამისად, შემოვიდა ელექტრონული პეტიციის განაცხადი - ***"აჭარის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი დასახლებების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის" თაობაზე*** (09-02-13-ფ/185, 23.03.2022წ. პეტიციის ავტორი: იზა ფუტკარაძე, მისამართი: [redacted]. წარმოდგენილი პეტიცია, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 29 მარტს, მხარდამჭერების შესაგროვებლად (არანაკლებ 200 მხარდამჭერი) გამოქვეყნდა ვებპლატფორმაზე - chaerte.sca.ge.

2022 წლის 29 აპრილს, ხელმოწერების შესაგროვებლად რეგლამენტით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა ამოიწურა. პეტიციამ ამ პერიოდში დააგროვა 227 ხელმოწერა.

გიგზავნით ზემოთაღნიშნულ პეტიციას, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნას და პლატფორმა chaerte.sca.ge-ს საშუალებით შეგროვებული მხარდამჭერების სიას შემდგომი რეაგირებისთვის.

დანართი „11„ ფურცელი

ზურაბ ჭურკვეიძე

აპარატის უფროსი